



ეკონომიკა

საგარეო ვაჭრობა: საქსტატის მონაცემებით, 2022 წლის მაისში ექსპორტი წლიურად 54.3%-ით გაიზარდა რეკორდულ 524.6 მლნ აშშ დოლარამდე, წინა თვის 10.1%-იანი ზრდის შემდეგ. მაისში ასევე მაღალი ტემპით 45.4%-ით გაიზარდა იმპორტი და ისტორიული მაქსიმუმი 1,119 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, წინა თვის 26.5%-იანი ზრდის შემდეგ. შედეგად, სავაჭრო დეფიციტი წლიურად 38.3%-ით გაიზარდა 594.8 მლნ აშშ დოლარამდე.

2022 წლის მაისში სპილენძი (+62.6% წ/წ), ფეროშენადნობები (+175.0% წ/წ), მანქანები (+46.8% წ/წ), ელექტროენერჯია (+418.1% წ/წ) და სასუქები (+158.7% წ/წ) იყო ტოპ-5 ექსპორტირებული საქონელი. ამასთან, ექსპორტის 14.7% ევროკავშირზე მოდიოდა (+89.1% წ/წ), 38.4% დსთ-ზე (+26.7% წ/წ) და 47.0% სხვა ქვეყნებზე (+75.3% წ/წ).

2022 წლის მაისში ტოპ-5 იმპორტი იყო ნავთობი (+111.7% წ/წ), სპილენძი (+143.4% წ/წ), მანქანები (+23.2% წ/წ), მედიკამენტები (+5.5% წ/წ) და გამომთვლელი მანქანები (+168.7% წ/წ).

ჯამურად, 2022 წლის პირველ 5 თვეში, სავაჭრო დეფიციტი წლიურად 37.1%-ით გაიზარდა და 2.7 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა, რადგან ექსპორტი 37.5%-ით გაიზარდა 2.1 მლრდ აშშ დოლარამდე, ხოლო იმპორტი 37.3%-ით გაიზარდა 4.8 მლრდ აშშ დოლარამდე.

მწარმოებელთა ფასების ინდექსი: საქსტატის მონაცემებით, 2022 წლის მაისში მწარმოებელთა ფასების ინდექსის წლიური ზრდა 14.2%-მდე შენედა, წინა თვის 15.4%-იანი ზრდის შემდეგ. ინდექსის ფორმირებაზე ძირითადი ზეგავლენა იქონია ფასების ცვლილებამ შემდეგ სექციებში: დამამუშავებელი მრეწველობა (+19.6%) და ელექტროენერჯია, აირი და კონდიციონირებული ჰაერი (-7.5%).


მონეტარული პოლიტიკა: საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტმა 2022 წლის 22 ივნისს რეფინანსირების განაკვეთი უცვლელად 11.0%-ზე დატოვა. სებ-ის თანახმად, ბოლო პერიოდის გლობალურ გამოწვევად კვლავ მაღალი ინფლაცია და ინფლაციური რისკები რჩება და ბოლო თვეებში სურსათის ფასების გლობალური ზრდა აისახა საქართველოს სამომხმარებლო ფასებზეც. ამასთან, რუსეთიდან, ბელარუსიდან და უკრაინიდან გაზრდილმა ხანგრძლივადიანმა ვიზიტებმა ადგილობრივ ბაზარზე ბინის ქირა მნიშვნელოვნად გაზარდა, რომელმაც მთლიანი და საბაზო ინფლაცია, შესაბამისად, დამატებით 0.6პპ და 1.1პპ-ით გაზარდა. სებ-ის მიმდინარე პროგნოზით, ინფლაცია წლის ბოლომდე მიზნობრივ მაჩვენებელზე მაღლა შენარჩუნდება, თუმცა, საგარეო ფაქტორების მიღების შედეგად და გამკაცრებული მონეტარული პოლიტიკის პირობებში, მას შემცირების მიმართულება ექნება. ამასთან, სებ-მა ყურადღება გაამახვილა დაკერძოების მაღალ ტემპზე, რაზეც მოლოდინია, რომ ბოლო პერიოდში მიღებული მაკროპრუდენციული ზომები და ასევე უცხოური ვალუტით სესხების კუთხით, აშშ-ში და სხვა დასავლურ ქვეყნებში საპროცენტო განაკვეთების ზრდა სესხების ზრდის ტემპზე ეტაპობრივად აისახება საქართველოში. ამასთან, მონეტარული პოლიტიკა გამკაცრებული დარჩება მანამ, სანამ ინფლაციურ მოლოდინებზე ზრდის მიმართულებით არსებული რისკები საკმარისად არ შერბილდება. ხოლო, თუ ინფლაციური მოლოდინები მეტად გაიზარდა ან/და მოთხოვნის მხრიდან ფასებზე დამატებითი ზეწოლა გამოიკვეთა, შესაძლოა, მონეტარული პოლიტიკის უფრო მეტად გამკაცრება გახდეს საჭირო, განმარტავს სებ-ი. მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის შემდეგი სხდომა 2022 წლის 3 აგვისტოს ჩატარდება.

ეკონომიკური ინდიკატორები

	2020	2021
რეალური მშპ-ს ზრდა	-6.8%	10.4%
მშპ ერთ სულზე (ppp)	14,849	17,386
მშპ ერთ სულზე (აშშ \$)	4,256	5,015
მოსახლეობა (მლნ)	3.7	3.7
ინფლაცია, პერიოდის ბოლო	2.4%	13.9%
საერთ. რეზერვები (მლრდ აშშ \$)	3.9	4.3
მიმდ. ანგარ. დეფიციტი (მშპ-ს %)	12.4%	9.8%
ფისკალური დეფიციტი (მშპ-ს %)	9.3%	6.1%
სახელმწიფო ვალი (მშპ-ს %)	60.2%	49.5%
Fitch/S&P/Moody's*	BB/BB/Ba2	


წყარო: ოფიციალური მონაცემები, სარეიტინგო სააგენტოები, გალტ & თაგარტი
*უახლესი საკრედიტო რეიტინგები

სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსი, წლიური %-ლი ცვლილება



წყარო: საქსტატი

მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი



წყარო: სებ



ფულადი ბაზარი


გასულ კვირას სახაზინო ფასიანი ქაღალდების აუქციონი არ გამართულა. უახლესი აუქციონი დაგეგმილია 2022 წლის 28 ივნისს, სადაც 5-წლიანი 80 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების ბენჩმარკ ობლიგაციები გაიყიდება.

სახაზინო ფასიანი ქაღალდები,
2022 წელი

ვალიანობა	გამომშვება წლის დასაწყისიდან მლნ ლარი	დარჩენილი გამოშვება მლნ ლარი	დარჩენილი ვალდებულება მლნ ლარი*
6-თვე	120	120	120
1-წელი	115	275	245
2-წელი	420	540	990
5-წელი	414	666	3,035
10-წელი	50	50	1,371
სულ	1,119	1,501	5,760


წყარო: ფინანსთა სამინისტრო
* 2022 წლის მაისის მდგომარეობით

სახაზინო ფასიანი ქაღალდების შემოსავლიანობის მრუდი




წყარო: სეზ

განხორციელებული ემისია და მოთხოვნა სახაზინო ფასიანი ქაღალდების ბოლო აუქციონებზე, მლნ ლარი




წყარო: სეზ

მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი, წლიური ინფლაცია და ლარის გაცვლითი კურსი



წყარო: სეზ, საქსტატი

ნომინალური და რეალური ეფექტური გაცვლითი კურსები



წყარო: სეზ
შენიშვნა: ინდექსის ზრდა/კლება ნიშნავს გაცვლითი კურსის გამყარებას/გაუფასურებას




ობლიგაციები

კორპორატიული ვერობლიგაციები: საქართველოს ბანკის ჯგუფის ვერობლიგაცია (GEBGG) დაიხურა 6.44%-იანი შემოსავლიანობით, ფასით 99.58 (უცვლელი წინა კვირასთან შედარებით). საქართველოს კაპიტალის ვერობლიგაციებით (GEOCAP) ვაჭრობა დაიხურა ფასით 95.66 (-0.08% წინა კვირასთან შედარებით), 8.93%-იანი შემოსავლიანობით.

საქართველოს რკინიგზის ვერობლიგაცია (GRAIL) ივაჭრებოდა 84.47 ფასად (+0.36% წინა კვირასთან შედარებით), 7.25%-იანი შემოსავლიანობით.

საქართველოს სუვერენული ვერობლიგაცია (GEORG) დაიხურა ფასით 83.63 (-0.65% წინა კვირასთან შედარებით), 7.79%-იანი შემოსავლიანობით.

ვერობლიგაციები (შემოსავლიანობა)



წყარო: Bloomberg

ქართული ობლიგაციების ძირითადი მონაცემები

ვერობლიგაციები

გამომშვები	ვალუტა	მოცულობა, მლნ აშშ \$	კუპონი	დაფარვის თარიღი	რეიტინგები (Fitch/S&P/Moody/Scope)	საშუალო ფასი	საშუალო პროცენტი, %	Z-spread, bps
GEORG 04/26	USD	500	2.750%	Apr-26	BB/BB/Ba2	83.63	7.79	482.13
GRAIL 06/28	USD	500	4.000%	Jun-28	BB-/B+/-	84.47	7.25	432.64
GEBGG 07/23	USD	350	6.000%	Jul-23	BB-/Ba2	99.58	6.44	340.91
GEBGG 11 1/8 PERP	USD	100	11.125%	n/a	B-/B1	100.51	11.70	773.37
GEOCAP 03/24	USD	300	6.125%	Mar-24	B-/B1	95.66	8.93	581.49
SILKNET 01/27	USD	300	8.375%	Jan-27	B-/B1	97.41	9.08	612.18
TBC 06/24	USD	300	5.750%	Jun-24	BB-/Ba2	98.54	6.55	344.01
TBC PERP	USD	125	10.775%	n/a	B-/B1	98.46	12.22	847.95
GGU 07/25	USD	250	7.750%	Jul-25	B+*/B/-	100.63	7.51	432.23

ადგილობრივი ობლიგაციები


Georgia Real Estate	USD	35	7.50%	Oct-22	-/-/-	99.97	7.50	n/a
KTW	USD	10	9.00%	Dec-22	-/-/-	99.75	9.50	n/a
GLC	USD	12	5.75%	Jul-23	-/-/-	99.87	5.88	n/a
GLC	EUR	3	4.75%	Jul-23	-/-/-	100.00	4.75	n/a
Lisi Lake Development	USD	12	6.50%	Dec-23	-/-/-	99.43	6.75	n/a
IG Development	USD	15	6.75%	Jan-24	-/-/-	99.44	7.13	n/a
Geo. Beer Company	GEL	25	14.50%	Dec-23	-/-/-	n/a	n/a	n/a
Evex Hospitals	GEL	50	13.60%	Nov-24	-/-/-	n/a	n/a	n/a
Nikora Trade	GEL	35	13.96%	Nov-24	-/-/-	n/a	n/a	n/a
Nikora	GEL	28	14.31%	Oct-22	-/-/-	n/a	n/a	n/a
TBC Leasing	GEL	58.4	13.89%	Mar-23	-/-/-	n/a	n/a	n/a

წყარო: Bloomberg



აქციები


საქართველოს ბანკის ჯგუფი (BGEO LN)



წყარო: Bloomberg

საქართველოს ბანკის ჯგუფის (BGEO LN) აქციები დაიხურა 14.58 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP), -1.22% წინა კვირასთან შედარებით და +0.55% გასულ თვესთან შედარებით. ვაჭრობის მოცულობამ 434 ათას აქციაზე მეტი შეადგინა, GBP 14.14 - 15.12 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში, საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 141 ათასი აქცია შეადგინა.


თიბისი ბანკის ჯგუფი (TBCG LN)



წყარო: Bloomberg

თიბისი ბანკის ჯგუფის (TBCG LN) აქციები დაიხურა 13.10 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP), -0.46% წინა კვირასთან შედარებით და -8.13% გასულ თვესთან შედარებით. ვაჭრობის მოცულობამ 175 ათას აქციაზე მეტი შეადგინა, GBP 12.70 - 13.54 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში, საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 40 ათასი აქცია შეადგინა.

საქართველოს კაპიტალი (CGEO LN)



წყარო: Bloomberg

Georgia Capital-ის (CGEO LN) აქციები დაიხურა 5.61 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP), +2.37% წინა კვირასთან შედარებით და -8.03% გასულ თვესთან შედარებით. ვაჭრობის მოცულობამ 106 ათას აქციაზე მეტი შეადგინა, GBP 5.50 - 6.01 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში, საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 65 ათასი აქცია შეადგინა.



აქციები

აღმოსავლეთ ევროპის ბანკები

	ტიკერი	ვალუტა	აქციის ფასი	კაპიტალიზაცია	6 თვე, ცვლ.	წ/წ ცვლ.	წლის დას.	P/E			P/B		
								2021	2022F	2023F	2021	2022F	2023F
Bank of Georgia	BGEO	GBP	14.58	717	-5.2%	9.6%	-12.6%	4.17x	3.52x	3.40x	0.93x	0.74x	0.67x
TBC	TBC	GBP	13.10	723	-18.8%	17.4%	-20.6%	3.80x	3.53x	3.20x	0.82x	0.70x	0.59x
Halyk Bank	HSBK	USD	9.76	2,662	-41.5%	-38.4%	-40.8%	2.50x	2.80x	2.74x	0.73x	0.70x	0.60x
Akbank	AKBNK	TRY	8.77	45,604	15.1%	62.7%	21.8%	3.63x	2.19x	2.66x	0.58x	0.53x	0.52x
Garanti	GARAN	TRY	15.18	63,756	29.5%	82.0%	34.7%	4.58x	2.68x	3.01x	0.77x	0.68x	0.66x
Isbank	ISCTR	TRY	4.70	21,150	34.4%	97.1%	45.2%	1.51x	0.99x	1.02x	0.52x	0.64x	0.55x
PKO	PKO	PLN	28.91	36,138	-34.0%	-29.9%	-35.7%	7.47x	6.28x	6.09x	0.97x	0.97x	0.87x
PEKAO	PEO	PLN	84.16	22,089	-29.5%	-18.1%	-31.0%	10.23x	6.28x	6.71x	0.93x	0.94x	0.87x
Millennium	MIL	PLN	4.06	4,927	-48.5%	-22.0%	-50.4%	na	3.81x	3.67x	0.74x	0.91x	0.69x
Mbank	MBK	PLN	239.40	10,147	-40.9%	-30.9%	-44.7%	na	4.52x	4.56x	0.75x	0.84x	0.70x
BRD	BRD	RON	13.06	9,102	-22.4%	-22.5%	-26.2%	6.93x	7.99x	7.03x	0.92x	1.14x	1.01x
Banca Transilvania	TLV	RON	2.35	14,800	-7.7%	-6.4%	-9.1%	7.44x	8.59x	7.20x	1.46x	1.53x	1.38x
OTP	OTPD	USD	22.00	12,320	0.0%	0.0%	0.0%	8.76x	13.13x	10.12x	0.65x	0.75x	0.66x
Komercni	KOMB	CZK	690.00	131,134	-25.1%	-10.2%	-26.2%	10.50x	9.02x	9.12x	1.07x	1.12x	1.09x
საშუალო								5.96x	5.38x	5.04x	0.85x	0.87x	0.78x
მედიანა								5.75x	4.16x	4.11x	0.80x	0.79x	0.68x

წყარო: Bloomberg, S&P Capital IQ

ინვესტიციების მართვის შესაძარი კომპანიები

	ტიკერი	ვალუტა	აქციის ფასი	კაპიტალიზაცია	6 თვე, ცვლ.	წ/წ ცვლ.	წლის დას.	P/E			P/B		
								2021	2022F	2023F	2021	2022F	2023F
Georgia Capital	CGEO	GBP	5.61	261	-11.7%	-17.7%	-21.3%	1.59x	na	na	0.36x	na	na
Tinc Comm	TINC	EUR	13.00	473	-2.4%	3.2%	-3.3%	14.54x	na	na	0.99x	na	na
Sabancı Holding	SAHOL	TRY	20.62	42,073	53.1%	121.7%	55.9%	3.38x	4.63x	4.27x	0.79x	0.72x	0.57x
Deutsche Beteiligungs	DBAN	EUR	25.80	485	-33.3%	-24.0%	-35.3%	2.56x	na	6.65x	0.68x	0.85x	0.78x
Eurazeo	RF	EUR	62.60	4,959	-16.5%	-14.6%	-18.5%	3.13x	16.16x	19.75x	0.78x	0.76x	0.70x
Carlyle Group	CG	USD	34.06	12,136	-38.6%	-26.4%	-38.0%	4.08x	8.08x	7.07x	2.29x	3.04x	2.21x
Wendel SE	MF	EUR	81.60	3,651	-22.9%	-29.5%	-22.6%	3.47x	7.29x	7.20x	1.36x	1.38x	1.21x
HgCapital Trust	HGT	GBP	3.46	1,573	-17.7%	4.1%	-17.8%	na	na	na	na	na	na
NB Private Equity Partners	NBPE	GBP	14.40	628	-20.7%	4.0%	-22.2%	na	na	na	na	na	na
Oakley Capital Investments	OCI	GBP	3.78	674	-8.5%	5.4%	-9.8%	na	na	na	na	na	na
Princess Private Equity	PEY	EUR	12.30	851	-10.9%	-6.1%	-14.9%	4.76x	na	na	0.80x	na	na
Symphony International Holding	SIHL	USD	0.49	252	21.3%	19.5%	18.4%	2.05x	na	na	0.51x	na	na
საშუალო								4.40x	9.04x	8.99x	0.95x	1.35x	1.09x
მედიანა								3.38x	7.69x	7.07x	0.79x	0.85x	0.78x

წყარო: Bloomberg, S&P Capital IQ



მნიშვნელოვანი შეტყობინება

ეს დოკუმენტი არის სს "გალტი ენდ თაგარტი" ("Galt & Taggart"), რომელიც არის სს საქართველოს ბანკის ჯგუფის ("ჯგუფი") წევრი, საკუთრება და მომზადებულია Galt & Taggart-ის მიერ, მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის და მასში ნახსენები კომპანიებისგან დამოუკიდებლად. ეს დოკუმენტი არ წარმოადგენს რაიმეს ნაწილს და არ უნდა იქნას განხილული, როგორც შეთავაზება ან კლიენტების მოზიდვა ან მოწვევა რაიმე აქტივების ყიდვისთვის ან გაყიდვისთვის, ან გამოყენებისთვის და ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ ქმნის საფუძველს კონტრაქტისთვის ან ვალდებულებისთვის და არ შეიძლება განხილული იყოს, როგორც რეკომენდაცია რაიმე მსგავსი ქმედებისთვის.

გალტი ენდ თაგარტი უფლებამოსილია აწარმოოს პროფესიონალური აქტივობა საქართველოს ბაზარზე. ამ დოკუმენტის ცირკულირება გარკვეული იურისდიქციების ფარგლებში შეიძლება აკრძალული იყოს კანონით. პირებს, რომელთა მფლობელობაშიც ეს დოკუმენტი აღმოჩნდება, გალტი ენდ თაგარტისგან მოთხოვრებით დაიცვან ყველა ის შეზღუდვა, რომელიც მოქმედებს მათ მიმართ. ეს დოკუმენტი არ არის განზრახული გავრცელებისთვის, პირდაპირ ან ირიბად, ან გამოყენებისთვის ნებისმიერი პირის ან ორგანიზაციის მიერ, რომელიც არის რაიმე ადგილის, სახელმწიფოს ან სხვა რაიმე იურისდიქციის მკვიდრი ან მოქალაქე, სადაც ამგვარი გავრცელება, პუბლიკაცია, ხელმისაწვდომობა ან გამოყენება კანონის ან რეგულაციის საწინააღმდეგო იქნებოდა ან რომელიც მოითხოვდა რეგისტრაციას ან ლიცენზირებას ამგვარი იურისდიქციის ფარგლებში.

ინვესტიციები (ან მოკლევადიანი გარიგებები) განვითარებად ბაზრებზე დაკავშირებულია მნიშვნელოვან რისკთან და მერყეობასთან და შეიძლება არ იყოს ყველასთვის შესაფერისი. ამ დოკუმენტის მიმღებმა პირებმა უნდა მიიღონ საკუთარი საინვესტიციო გადაწყვეტილებები, რომლებიც მათ მიაჩნიათ სწორად, მათ საკუთარ ამოცანებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე დაყრდნობით. ამ პროცესში ამგვარი მიმღები პირები დარწმუნებული უნდა იყვნენ თავიანთ ქმედებებში, როცა ახორციელებენ რისკების შეფასებას, რომლებიც დამახასიათებელია განვითარებად ბაზრებზე ინვესტირებისთვის, მათ შორის პოტენციური პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა, სხვა პოლიტიკური რისკები, კერძოდ, ცვლილებები კანონებში და ტარიფებში, აქტივების ნაციონალიზაცია და ვალუტის გაცვლითი კურსის რისკი.

გალტი ენდ თაგარტი ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების, ან რომელიმე სხვა პირის მიერ არ მომხდარა რაიმე რწმუნების, გარანტიის ან ვალდებულების წარდგენა ან აღება, აშკარად გამოხატულის ან ნაგულისხმევის, და ამ დოკუმენტს არ აქვს პრეტენზია მასში არსებული ინფორმაციის უტყუარობაზე, სისწორეზე და ამოწურავობაზე (და იმაზე, რომ რაიმე ინფორმაცია არ არის გამოტოვებული ამ დოკუმენტში) და არ შეიძლება მასზე დაყრდნობა. ეს დოკუმენტი არ უნდა განხილვოდეს, როგორც ბაზრების, ინდუსტრიების და/ან კომპანიების სრული აღწერა, რომლებიც მასში არის ნახსენები. ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ წარმოადგენს სამართლებრივ, საინვესტიციო, ბიზნეს ან საგადასახადო რჩევას, წარულის ან მომავლის მიმართ, გალტი ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების მხრიდან. დოკუმენტის მიმღებებს მოეთხოვებათ ჩაატარონ მათი საკუთარი დამოუკიდებელი კვლევა და შეფასება ამ დოკუმენტში განხილულ საკითხებთან დაკავშირებით. ნებისმიერი საინვესტიციო გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნას მხოლოდ ინვესტორის პირადი შეხედულებით. კანონის თანახმად, გალტი ენდ თაგარტი ან ჯგუფის რომელიმე წევრი ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩეველები ან აგენტები პასუხისმგებლობას არ იღებენ ნებისმიერ ვალდებულებაზე რაიმე ზიანის ან ზარალის მიმართ, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას, პირდაპირ ან ირიბად, ამ დოკუმენტის ან მისი შინაარსის რაიმე გამოყენების შედეგად, ან რაიმენაირად უკავშირდებოდეს ამ დოკუმენტს, ან რაიმე ქმედების, ან უმოქმედობის შედეგად რომელიმე მხარის მიერ, ამ დოკუმენტის საფუძველზე.

ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაცია ექვემდებარება შემოწმებას, სრულყოფას და ცვლილებას შეტყობინების გარეშე და გალტი ენდ თაგარტი არ აქვს რაიმე ვალდებულება ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის განახლების ან აქტუალურობის შენარჩუნების მიმართ. ამ დოკუმენტის მიწოდება არც ერთ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ არ მომხდარა ინფორმაციის ცვლილება ამ დოკუმენტის თარიღის შემდგომ ან იმ თარიღის შემდგომ, როდესაც ეს დოკუმენტი უკანასკნელად განახლდა, ან რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია უტყუარია რაიმე პერიოდისთვის იმ თარიღის შემდეგ, როდესაც მისი მიწოდება მოხდა, ან, თუ განსხვავებულია, ამ დოკუმენტში მითითებული თარიღის შემდეგ. გალტი ენდ თაგარტი ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების მიერ არ გაცემულა რაიმე რწმუნება ან გარანტია, აშკარად გამოხატული ან ნაგულისხმევი ამ ინფორმაციის სისწორესთან და ამოწურავობასთან დაკავშირებით.

ამ დოკუმენტში მოწოდებული ინფორმაცია და გამოთქმული მოსაზრებები ემყარება ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომი იყო გამოცემის თარიღისთვის და წარმოადგენს მხოლოდ გალტი ენდ თაგარტის შიდა კვლევის ნაწილს. მოსაზრებები, პროგნოზები და შეფასებები, რომლებიც მოცემულია მასში, მიღებულია მესამე მხარის წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ და კეთილსინდისიერად, და შეიძლება შეიცვალოს შეტყობინების გარეშე. მესამე მხარის პუბლიკაციები, კვლევები და გამოკითხვები ზოგადად აჩვენებს, რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია მიღებულია წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ, მაგრამ არ არსებობს ამ მონაცემების სისწორის და ამოწურავობის გარანტია. შესაბამისად, არ შეიძლება დაყრდნობა ნებისმიერ იმ მონაცემზე, რომელიც მოცემულია ამ დოკუმენტში. არც გალტი ენდ თაგარტი, არც ჯგუფის რომელიმე წევრი, ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩეველები ან აგენტები არ გასცემენ რაიმე რწმუნებას ან გარანტიას, აშკარად გამოხატულს ან ნაგულისხმევის, ამ დოკუმენტის სარგებლობისთვის მომავალი საქმიანობის პროგნოზირების საკითხში, ან რომელიმე ფასიანი ქაღალდის ან აქტივის მიმდინარე ან მომავალი ღირებულების შეფასებაში.

გალტი ენდ თაგარტი და ჯგუფის ნებისმიერ წევრს შეიძლება ჰქონდეს ბიზნესი ან ცდილობდეს ბიზნესი-ურთიერთობის დამყარებას კომპანიებთან, რომლებიც მოცულნი არიან ამ კვლევაში. შედეგად, ინვესტირება უნდა იცოდნენ ინტერესთა პოტენციური კონფლიქტის შესახებ, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის ობიექტურობაზე.

ამ დოკუმენტის ან მისი ნებისმიერი ნაწილის უნებართვო კოპირება, გავრცელება, პუბლიკაცია ან განმეორებითი გადაცემა რაიმე მედიით ან რაიმე ფორმით ნებისმიერი მიზნისთვის მკაცრად აკრძალულია.

ამ დოკუმენტის მიმღები პირები პასუხისმგებელნი არიან ვირუსების და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან დაცვაზე. ელექტრონული გადაცემის მიღება ხდება მიმღები პირის საკუთარი რისკის ხარჯზე და წარმოადგენს მის პასუხისმგებლობას, მიიღოს ზომები, რომ ვირუსებისგან და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან უზრუნველყოს დაცვა.

გალტი ენდ თაგარტი
მისამართი: პუშკინის ქუჩა 3ა, თბილისი, 0105, საქართველო
ტელ: + (995) 32 2401 111
ელ. ფოსტა: researcht@gf.ge